საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახმეტელი სტეფანე გიორგის ძე

ახმეტელი (ახმეტელაშვილი) სტეფანე გიორგის ძე (1877, სოფ. ანაგა, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი – 1922, რიაზანი რუსეთი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 – 21) სამხედრო მოღვაწე. გენერალ-მაიორი (1918).

დაამთავრა სუმის კადეტთა კორპუსი, შემდგომ – იუნკერთა სასწავლებელი. რუს.-იაპ. (1904 – 05) და I მსოფლიო (1914 – 18) ომების მონაწილე.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში სახალხო გვარდიის თბილ. გარნიზონის უფროსი. 1919–21 საქართველოს სასაზღვრო დაცვის მეთაური თავდაცვის საბჭოს წევრი.

1921 კოჯრის მიდამოებში იბრძოდა რუს. მე-11 არმიის წინაღმდეგ. იმავე წელს იქნა რეპრესირებული. გარდაიცვალა რიაზანის საპყრობილეში. დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ ვლადიმერის და თამას მეფის ორდენებით.

ლიტ.: მ გ ე ლ ა ძ ე ვ., რუსეთის მობრუნება საქართველოში, პარიზი, 1936.

თ. მურმანიშვილი